

მზენა მახარაძე

როიალის ლედი

"ის ბრწყინვალე პიანისტი შესანიშნავი მუსიკალური გამომსახველობით, ექსპრესიულობითა და შესრულების მანერით. მისი ვარსკვლავი ამოვა და მთელი მსოფლიოს საკონცერტო დარბაზები მიესალმებოდა..." - თქვა ლეგენდარულმა ვან კლაიბერმა, როცა ელისო ბოლქვაძეს პირველად მოუსმინა, მაშინ, სანამ ევროპის მუსიკალურ ცენტრებში როიალის ლედის საშემსრულებლო უნივერსალიზმს აღიარებდნენ. გენიალური პიანისტი, რომელიც ასეთ ეპითეტებს იშვიათად, ან სულაც არ ამბობდა ხოლმე, არ შემცდარა - ელისო ბოლქვაძე გახდა ის ვარსკვლავი, რომელიც მუსიკაში კონცეპტუალურად აზროვნებს, სოლოთი "მართავს" ევროპის ფილარმონიულ ორკესტრებს, შესრულებისას კლასიკის მონოგრაფიულ სიუჟეტში ქალური ხელნერა შეაქვს, ფლობს ბგერის ესთეტიკას კრისტალური ლირიზმით სავსეს, ბგერას, რომელსაც უსმენ და გგონია, რომ ლეგატოზე პიანისტი ფრაზებს აძლევს არა მარტო "სუნთქვის უფლებას", არამედ "ელეგანტური ტემპის" ქვეშ განსხვავებულ ინტერპრეტაციას, თუმცა ცდილობს ორიგინალის ერთგული დარჩეს.

ბახის (ლაიფციგი), ვიანა და მოტას (ლისაბონი), ვან კლაიბერნის (ფორტ-უერთი), მარგარიტა ლონგის (პარიზი) საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ქართული მარმით, უკვე წლებია პარიზშია, თუმცა მისი საკონცერტო ვიოაჟი მსოფლიოს მუსიკალური ცენტრებია, იქ, სადაც უკრავს კიდევ სხვა მუსიკალური ბეგრაუნდით, სადაც იკრიბება ის ელიტა, რომელსაც გარდა იმისა, რომ კლასიკა "შიგნიდან" ესმის, იცის, რომ მოცარტის, ბეთჰოვენის, ბრამსის, ბახის, შუბერტის, პროკოფიევის, რაველის და... შოპენის შედეგების ირგვლივ აგებული ცხოვრებით ელისო ბოლქვაძის საფორტეპიანო "სიმფონია" იკვრება.

მუსიკაში "სონატური ალევროდან" იწყებს ცხოვრებას, იქ, სადაც ყველაფერი უკვე თავისით ხდება... ის პოეტური შესრულება, რომელშიც მუსიკის ლედი თავის შინაარსს დებს, მის 70 ათას ევროდ დაზღვეულ თითებს მოაქვს... პარიზში, სადაც ამბობს, რომ დაიწყო მისი კარიერის მეორე ისტორია, ელისო ბოლქვაძის საკონცერტო ჩანაწერები გარდა იმისა, რომ ფრანგულ მუსიკალურ ტელეარხ MEZZO-ზე ტრიალებს, შვეიცარიის ხმისჩამწერმა კომპანიამ CASCABELLE გამოსცა ალბომი, რომელიც 2009 წლის ყველაზე წარმატებულ დისკებს შორის დაასახელეს. ასე იყო CD "სენ-სანსის N2 კონცერტის" შემთხვევაშიც.

ვაშინგტონის Kennedy Center, ვენის Schubert Saal, პარიზის Theatre des Champs-Elysees, St. Louis des Invalides, Salle Pleyel, Salle Gaveau, ინსბრუკის Congress Hall, უენეციის Victoria Hall, მილანის Teatro Manzoni გამართული სერიალური კონცერტების მერე, კალიფორნიის Pasadena Auditorium-ში სოლო გამოსვლაზე Los Angeles Times-ში მუსიკის კრიტიკოსი დენიელ კარიაგა წერდა: "განსხვავებულად გარდამავალი ფლერადობის გამო ელისომ "პასადენა პოლი" მტურით აიღო..." ელისოს "იმპროზანტური პიანისტი" უწოდეს, მსოფლიო მაესტრომ ძუბინ ეშტამ კი ასეთი ავტოგრაფი დაუტოვა: "უზომოდ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ელისოს მუსიკალურობამ და იმან, თუ როგორ



სრულყოფილად ფლობს ინსტრუმენტს".

- ინსბრუკის "კაზინო ინსბრუკში" იმართება კლასიკური მუსიკის საღამოები ანტერპრიზის ქვეშ "ელი-სო ბოლქვაძე და მეგობრები". ამ კონცერტზე თქვენთან და ნორჩ ქართველ ჯაზშემსრულებელთან, ბექა გოჩიაშვილთან ერთად დაუკრავს ცნობილი კლასიკური გიტარისტი ემანუელ როზფელდერი, პიანო კაროლინ მურატ ჰაფენერი და ასევე კვარ-

ტეტი "სედაჯ" ავსტრიიდან. განსხვავებული იქნება ეს კონცერტი თავისი პროგრამული დრამატურგიით? - ჩემი აზრით, ეს განსაკუთრებული კონცერტი იქნება თავისი კონცეფციით, რადგან ამ ანტერპრიზით Elisso Bolkvadze & Friends პირველად იმართება, თან წარმატებული მუსიკოსების ანსამბლით, პროგრამა ძალზე საინტერესოა... გარდა იმისა, რომ დაუკრავ შოპენის სკერცოს N4, ასევე პროკოფიევის N2 სონატას, კვარტეტ-

თან ერთად მომინევს ფრანკის f moll კვინტეტის შესრულებაც. ძალიან მინდოდა, მიმეღო სონისთან ერთად დამეკრა ლისტის რაფსოდები ოთხი ხელისთვის, მაგრამ მიმეღო სონის გადატვირთული გრაფიკის გამო ეს ვერ მოხერხდა ისევე, როგორც ვერ ჩამოდიხ ქეთევან ქემოკლიძე და ამაზე ძალიან მწყდება გული. ამერიკიდან ბექა გოჩიაშვილს აქვს ჯეი ლივინგსტონის და რეი ევანსის კომპოზიციები, რაზეც თავისუფალი არჩევანი ჰქონდა, შო-



პენის ბალადებით გამოვა კაროლინ მურატ ჰეფენერი, რომელიც შვეიცარიამი ცხოვრობს, ის საქართველოშიც არის ნამყოფი და იცნობს ჩვენს კულტურას.

- მოცარტი? მოცარტის გარეშე თქვენთვის არსებობს კონცერტი? წლების წინ პარიზში მარგარიტა ლონგის კონკურსზე მაესტრო მიშელ სონიმ თქვენს მიერ შესრულებულ მოცარტის ფრაზებს უწოდა "ინტელექტუალური აკორდები"... ამ კონკურსზე ლაურეატობასთან ერთად მიიღეთ სპეციალური პრიზი ფრანგული მუსიკის საუკეთესო შესრულებისთვის, რაც პარიზისგან იყო პირველი სიხარული?

- მოცარტი, საერთოდ, ჩემი კარიერის ლაიტმოტივია, პარიზიდან კი იწყება ჩემი მეორე ცხოვრება. მიშელ სონი, - ჩემი მენეჯერი, სულ მეუბნება, რომ მოცარტის გარეშე შენ კონცერტი არ უნდა დაუკრაო... და სწორია! პარიზის კონკურსზე ფსიქოლოგიურად ჩემით ვემზადებოდი, ზუსტად ვიცოდი, რომ აქ რაღაც უნდა მომხდარიყო, - ისეთი რამ, რაც ჩემთვის გადამწყვეტი იქნებოდა, ამას ინტუიციურად ვგრძნობდი. პარიზში რომ ჩავივი, მახსოვს, კონკურსის ნომრების მიხედვით, გამოსვლა მქონდა სადაც, მეორე დღეს საღამოს 9 საათისთვის, მაგრამ უცბად დამირეკეს დილით, სასწრაფოდ მოდი, უნდა დაუკრაო. გავგიჟდი, - არც რეპეტიცია მქონდა, არც ინსტრუმენტს "ვიცნობდი", ისიც არ ვიცოდი, რომელ დარბაზში უნდა დამეკრა. ძალიან ვნერვიულობდი, მით უმეტეს, რომ უნდა დამეკრა შოპენის b moll სონატის მხოლოდ I და IV ნაწილი. ეს უცნაური პროგრამაა, რომელიც მარგარიტა ლონგმა ყველა კონკურსანტისთვის დაანება და იმდენად რთულია დასაკრავად, რომ პირველ ტურში თითქმის ყველა პიანისტი ვარდება.

- რატომ?

- იმიტომ, რომ შოპენის b moll სონატა არის ოთხნაწილიანი ფორმა, რომელშიც დევს მთელი ფილოსოფია. მის სიუჟეტს ნელ-ნელა უნდა გაჰყვი, - აქ არის ადამიანის სული, გარდაცვალება, მერე მარში... და ეს ყველაფერი შესრულების დროს მოითხოვს აზროვნებას... მოცივებს, ლოგიკურ განვითარებას... მაგრამ როცა პირველი ნაწილის მერე ყველაფერს ტოვებ და, უცბად გადადიხარ ფინალზე, ეს "ნახტომი" საშინელ ვაკუუმს გიტოვებს... ისე ველავდი, რომ არაფერი არ მესმოდა - არც ერთი ბგერა, არც ერთი აკორდი... მეორე ტურზე დავრჩით უკვე "დაცხრილული" 45 კონკურსანტი, მაგრამ სანამ ამას გავიგებდი, ვიფიქრე, ამ შესრულებით მეორე ტურში, ალბათ, არ დამიშვებენ-მეთქი და, ისე დავწყნარდი, ისე დავწყნარდი, რომ... და აი, მეორე ტურზე იყო, მოცარტის სონატას როცა ვუკრავდი, ისეთი მისტიკური რამ მოხდა ჩემში, რომ სადაც, სხვა სივრცეში გავივი, იქ, სადაც არ არსებობს რეალობა, ყველაფერი გექვემდებარება - ყველა ნოტი, ყველა ფრაზა, ვერ გრძნობდი ხელის მოძრაობას, ვიყავი მხოლოდ მუსიკასთან და ვიყავი მუსიკის გამტარი. ეს იმდენად შესამჩნევია იყო, იმდენად დიდი რეაქცია მოჰყვა ჩემს შესრულებას, რომ ყოფილი და თით პიანისტი ფეხზე წამოდგა ის ატაში დამიკრა. ამ დროს დარბაზში იყო მიშელ სონი, ამიტომაც თქვა ჩემს შესრულებაზე "ინტელექტუალური აკორდები".

- ახლაც ასე უკრავ?

- არა, არა, გეტყვით: ეს მეტამორფოზა მე სულ სამჯერ გამოვცადე - მარგარიტა ლონგის კონკურსზე, LA-ის კონცერტზე და ერთხელ კიდევ პარიზში... იცით, ეს ისეთი აუხსნელი რაღაცაა, რომ თავისით არ მოდის, ეს შეიძლება გამოიწვიოს დიდმა სტრესმა. რატომ? LA-ში ზუსტად კონცერტის წინ, სრულიად შემთხვევით გავიგე ჩემი ახლობელი ადამიანის გარდაცვალება, რამაც ლამის ჭკუიდან გავივივანა და, იქვე მივიღე ისეთი სტრესი, რომ შოპენის f moll სონატის III ნაწილზე, ჩემში კიდევ სხვა ძალა შემოვიდა, ისევე სადაც, მისტიკაში გავივი... მაგრამ ახლა, პარიზში შოპენის ფესტივალზე, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან საინტერესო გამოსვლა მქონდა, ასეთივე მეტამორფოზა არ მომსვლია.

- 2011 წელს მარგარიტა ლონგის კონკურსზე ყოფილი ერთ-ერთ ნე-

სტუმარი

რად ხართ მინველი, რამდენად მკაცრი იქნებით?

- რა გითხრათ, ჯერ არ ვიცი... ისე, მკაცრი მსმენელი ვარ, ძალიან მომთხოვნი.

- გიყვართ კონკურსები?

- ვერ ვიტან, მაგრამ მე არ მიყვარს კონკურსები, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ უნდა გავსულიყავი, ხომ?!?

- კონკურსების გარეშე იქნებოდა თუ არა თქვენი კარიერა ასეთივე წარმატებული?

- იცით რა, ეს ფაქტორები ჩემთვის დღესაც მნიშვნელოვანია. კონკურსზე დაკვრა, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია, ობიექტურობაც ძალიან რთულია მუსიკაში, რადგან გემოვნებაზე დაობენ და ყოველთვის არსებობს კიდევ უკეთესი შესრულება, ხომ?! თან კონკურსში გამარჯვება არ არის იმის გარანტი, რომ შენ აუცილებლად დაიმკვიდრებ ადგილს მუსიკის სამყაროში, რადგან ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რას მოიტანს ეს კონკურსი, კონკურსს გარეთ როგორ მოახერხებ მუსიკაში შენი აზროვნების გატარებას... ამას იმიტომ ვამბობ, რომ როცა მსოფლიოში ასე გაფართოვდა პიანისტური გეოგრაფია, როცა არსებობდა ჰოროვიცი, გლენ გულდი, ბაირონ ჯანისი, სამსონ ფრანსუა, რიხტერი, - ასეთი გრანდები, რომლებმაც ეპოქები შექმნეს, რითი უნდა გააკვირვო მსმენელი? - საინტერესო ინტერპრეტაციით, ანუ შენი ძალა უნდა იყოს შენი მუსიკა, მერე არაჩვეულებრივად გახსნილი პიანისმთან ერთად, აუცილებელია ქარიზმა...

- არტისტისტული ტემპერამენტი?

- ესეც მნიშვნელოვანია და ამაზე სულ უნდა იფიქრო, თუ გინდა, რომ წარმატება არ განწყდეს.

- რატომ არ გიყვართ დაკვრა "ბისზე"?

- იმიტომ, რომ კონცერტებზე იმდენად ვიხარავები, სულ მგონია, "ბისზე" ძალა არ მეყოფა. დამიჯერეთ, კონცერტის მერე, ჩემი "მექანიზმი" ავტომატურად ირთვება და მინდა დასვენება, თუმცა არიან პიანისტები, რომლებიც "ბისზე" ისე იხსენებენ, რომ იქიდან იწყებენ ცალკე იმპროვიზაციებს. აი, შოპენის ფესტივალზე ისეთი უხერხული სიტუაცია შეიქმნა, კონცერტის მერე "ბიისი", "ბიიისი" - კულისებში მესმოდა, არ გავდიოდი, მაგრამ იძულებული ვავხდი, დამეკრა. ინვალიდების სასახლეში? ბეთჰოვენის N1 კონცერტის მერე ლორან პეტიფირარმა სცენაზე მითხრა: ელისო, მიდი, კიდევ დაგვიკარო! - ასე დამაყენა ფაქტის წინაშე.

- როგორ გაიცანით ცნობილი დირიჟორი ლორან პეტიფირარი?

- პარიზში ჩემს კონცერტზე მომსმინა და ამის შემდეგ აენცი ყველაფერი. ის ძალიან კარგი მუსიკოსია, არაჩვეულებრივი დირიჟორი, საინტერესო პიროვნება და რაც მთავარია, ისეთი კომფორტია მასთან დაკვრა, რომ... ასეთივე განცდა მქონდა ხოლმე პიტერ ალტრინტერთან და ჯანსუღ კახიძესთან ერთად რომ გამოვდიოდი. ინვალიდების სასახლის მერე ჩვენ დავგვემთ სენ-სანსის N2 კონცერტი, რომელიც 2010 წლის ოქტომბერში Salle Pleyer-ში და Salle Gaveau-ში დაუკაროთ კოლონის ორკესტრის თანხლებით.

- Wonderf Tone - ვან კლაიბერნის ახელი შეფასება, ალბათ სულ ეპიგრაფად გაყვება თქვენს შესრულებას?

- კარგად მახსოვს, როცა ვან კლაიბერნმა მომისმინა, აქცენტი ჩემს ბგერაზე გააკეთა...

- შეიცვალა ის ბგერა?

- ის ბგერა დაიხვეწა, გახდა კიდევ უფრო მსუბუქი, თბილი, უფრო მეტად ზუსტი...

- როგორია თქვენი ურთიერთობა ბგერის დრამატურგასთან?

- როგორ აიღებ პირველ აკორდებს, ეს საოცარი გრძობაა. მართალია, ის სიჩუმე რაღაცნაირად მედიტაციურია, გეხმარება ბგერასთან მიახლოებაში, თუმცა მთავარი მაინც ბგერაა, ამიტომაც ამაზე სულ ვფიქრობ, როგორ უნდა დავიწყო დაკვრა, როგორ შევიდე მუსიკაში...

- დაგიკრავთ ლელვის გარეშე?

- ამდენი წელია სცენაზე ვარ, მაგრამ ამ ემოციების გარეშე ვერასოდეს

ვერ დაუკრავ, რადგან ჩემში ყოველდღიურად იზრდება პასუხისმგებლობის მომენტი... ამიტომაცაა, რომ ყოველი კონცერტის დღეს ადრე მივდივარ დარბაზში, ფსიქოლოგიურად იქ ვემზადები... არის ასეთი ძალიან დიდი პიანისტი გრიგორი სოკოლოვი, რომელიც ამბობს, მე ვუკრავ ზუსტად ისე, როგორც ვემზადებიო და სწორია, უფრო მეტს გეტყვით, ის ყოველი კონცერტის დამთავრების შემდეგ იწყებს მეცადინეობას, ასწორებს იმას, რაც კონცერტზე თავის შესრულებაში არ მოეწონა. იგივეს აკეთებდა რიხტერიც... ეს ჩემთვის არის მნიშვნელოვანი მაგალითები, თუმცა მე არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ ყოველ დღე კონცერტის დაკვრა გამართლებულია, - არა, არა, ეს ჩემთვის იმდენად მიუღებელია, რომ... და რატომ? ამერიკაში მახსოვს, პრადის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად რომ ვუკრავდი, ჯონ ლილიმ 15 კონცერტი დაგეგმა ზედიზედ და პირველი, მეორე კონცერტის მერე აღარ მიწოდდა დაკვრა, გამოვიფიტე, ანუ ის ენერჯია, ის სტიმული, რაც კონცერტებისთვის მჭირდებოდა, ჩემგან წავიდა და ამიტომაც იყო, რომ მერე რაღაც მექანიკურად ვიწყებდი დაკვრას. გარედან ეს შეიძლება არ ჩანდა, მაგრამ... ყველა კონცერტი ჩემთვის ერთნაირად მნიშვნელოვანია. აი, როგორ გითხრათ, ლორან პეტიფირართან ერთად რომ დაუკარი, თბილისის კონცერტზეც ძალიან ვღელავდი, თან ამდენი ხნის მერე - 12 წელი დიდა რომა იმისთვის, რომ მე ქართველ მსმენელთან დავბრუნებულიყავი. საკმაოდ თბილად შემხვდნენ, კარგად მისმენდნენ, მაგრამ ჩემთვის ემოციურად მაინც ძნელი იყო... იგივეს ვგრძობდი ინვალიდების სასახლეში სიმებიან კვარტეტთან, ეს იყო ჩემი დიდი ხნის ოცნება, მე მახარებდა ის, რომ პარიზის ძალიან პრესტიჟულ კათედრალში, სადაც ნაპოლეონის ნემტია დაკრძალული და ამ ძეგლს ფრანგებისთვის კიდევ სხვა კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვს, უღერდა ქართული მუსიკა.

- სხვადასხვა პრესტიჟულ მუსიკის ცენტრებში ეხებით თქვენთვის უცხო ინსტრუმენტებს, მაგრამ მაინც, რომელი ფორმის როიალზე ირჩევთ დაკვრას?

- ხშირად გვხვდება ხოლმე ისეთი როიალი, რომელსაც ალბათ ვერასდროს მოერგები, რა ვქნათ? - პიანისტებს ასეთი ბედი გვაქვს. პიანოცივით მეც დიდი სიამოვნებით მოვიკიდებდი ჩემს როიალს, რომელიც გარდა იმისა, რომ ცალკე მუზას მაძლევს, იმდენად მანებრივებს თავისი უღერადობით, რომ ძალიან მიჭირს სხვა ინსტრუმენტზე გადასვლა. პარიზში მაქვს ძველი ფრანგული Steinway, ხელით ნაკეთი, რომელიც იმითიც არის განსხვავებული, რომ აქვს სპილოს ძლის კლავიატურა, არის ძალიან მგრძობიარე, ძალიან ცოცხალი ინსტრუმენტი... როიალი ორგანიზმია, რომლითაც ხდება სულის სუბლიმაცია, მოდის ენერგეტიკა, რომელიც ყველაფერს "ანგრევს", ამ მხრივ დიდი ძალა გვაქვს მუსიკოსებს. ბოლოს კონცერტი Bezen-dorf-ზე დაუკარი ჟენევაში და შევწუხდი, ძალიან არ მიყვარს ეს ინსტრუმენტი იმიტომ, რომ მარცხენა მხარეს აქვს ზედმეტი ერთი ოქტავა, თან შავი კლავიშები თეთრის მაგივრად, რომელიც სასწაულად მახსენებდა. საერთოდ, როგორც კი როიალს ვეხები, ზუსტად ვგრძნობ, როგორ დაუკრავ, მერე ფერსაც აქვს მნიშვნელობა, - თეთრი როიალი სასიამოვნოა, მაგრამ



ჩემთვის არ უღერს, შავ Steinway-ს არაფერი არ მიწევინა.

- რა მიგაჩნიათ თქვენს მუსიკალურ კარიერაში ყველაზე დიდ წარმატებად?

- ვერ გეტყვით, რადგან კარიერა ზოგადად ეფემერულია, წარმატება მიდის-მოდის, მაგრამ მუსიკის სიყვარული მე კიდევ სხვანაირად მესმის. რომ არ დაუკრა, ცუდად ვარ, მუსიკა მაძლევს სულიერ სიმშვიდეს, სიძლიერეს... ჩემი კარიერა ჩემთვის მხოლოდ ამის

შემდეგ დგას. ჩემი კარიერისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო გასული წელი, გამოვედი რაველის საერთაშორისო ფესტივალზე, სოფიას საერთაშორისო ფესტივალზე... მე მინდა, რომ ანტერპრიზა "ელისო ბოლქვაძე და მეგობრები" ყოველ წელს გაკეთდეს. მაქვს გეგმა, ჩემი სახელობის ფესტივალი გავაკეთო ინსტრუქტორის მერიის ორგანიზებით, ამის გარდა წლიდან წელი მაქვს დატვირთული კონცერტებით, ჩემი უსაყვარლესი კონცერტები

უნდა დაუკრა - მოცარტის N21, რაველის G dur კონცერტი.

- თქვენი მუშაობა პიანისტი უნდა იყოს?

- არავითარ შემთხვევაში! ორი პიანისტი ერთად უკვე ბევრია, მაგრამ ის, ვინც იქნება ჩემს გვერდით, მას უნდა უყვარდეს მუსიკა და უნდა ესმოდეს, რას ნიშნავს ქალი პიანისტი. - რომ არა პიანისტი, ვინ იქნებოდი? - ყურნალისტი.

